



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №173/17

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2017 წლის 09 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 21 ივნისის №173/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის (მოსამართლე -- --) მიერ განხილულია საჩივარი, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაზე (ბრალდებულ -- -- მიმართ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ). აღნიშნულთან დაკავშირებით, დისციპლინურ საჩივარში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. მოსამართლემ 2017 წლის 03 ოქტომბრის განჩინებაში არ იმსჯელა საჩივარში მოყვანილ არგუმენტაციაზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან ბრალდებულის საპროცესო უფლებების დარღვევის თაობაზე. მომჩივანი მიუთითებს, რომ აღნიშნულის გამო, მან განჩინების განმარტების შესახებ მიმართა სასამართლოს (მოსამართლე -- --), თუმცა მოსამართლის თანაშემწის წერილით განემარტა, რომ -- -- საქმეზე, საჩივრის განხილვა დასრულებული იყო. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს მოსამართლის მხრიდან მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების ფაქტს.

1.2. სასამართლო არღვევს ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციას და განაჩენის დასაბუთების სტანდარტით, განჩინებაში აღწერს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას.

1.3. 2017 წლის 03 ოქტომბრის განჩინებაში სასამართლო მიუთითებს ბრალდებულზე და მის ოჯახზე, ბრალდებულის ურთიერთობაზე მშობლებთან და დამამცირებლად აფასებს როგორც ბრალდებულს, ისე მის ოჯახს, ბრალდებულის საცხოვრებელ გარემოს და ოჯახის როლს მის ცხოვრებაში. უპატივცემულოდ ეპყრობა ბრალდებულის დედის საზღვარგარეთ მუშაობის ფაქტს და აღნიშნულს განმარტავს შვილის საწინააღმდეგოდ. ასევე, მოსამართლე ბრალდებულის ირიბ შეურაცხყოფასაც ახდენს და იჭრება მის უფლებებსა და თავისუფლებაში. კერძოდ, უარყოფით კონტექსტში განიხილავს, რომ ბრალდებული ზედმეტად დამოუკიდებელია, არ სწავლობს, არ მუშაობს, არ ბრუნდება დღეების განმავლობაში სახლში და თავად წყვეტს რა გზით მოიპოვოს მატერიალური სახსრები. მომჩივანი აღნიშნავს, რომ სრულწლოვან პირს აქვს მსგავსი გადაწყვეტილებების თავისუფლად მიღების უფლება და მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასკვნები შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და ამასთან, დაუსაბუთებელია, რადგან იგი არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 24 სექტემბერს, -- შს ----- სამმართველოს განყოფილების მიერ, ქ. --, -- --, -- --, -- --, მდებარე მაღაზიის ძარცვის ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეზე №-- დაიწყო გამოძიება.

2017 წლის 24 სექტემბერს, საქმეზე ბრალდებულის სახით დაკავებული იქნა -- --.

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებით, დაკმაყოფილდა -- ----- რაიონული პროკურატურის პროკურორის, -- -- შუამდგომლობა; ბრალდებულ -- -- აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა; -- --პატიმრობის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან, 2017 წლის 24 სექტემბრის 12:22 საათიდან.

-- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 03 ოქტომბრის განჩინებით, -- -- ინტერესების დამცველი ადვოკატის, -- -- საჩივარი, -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებაზე, ცნობილია დაუშვებლად.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ

გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. სასამართლო განხილვის სამართლიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი გარანტია, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობაა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში პირდაპირ არ არის მითითებული ამ კონკრეტული უფლების შესახებ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, უფლება დასაბუთებულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე, სამართლიანი სასამართლოს (კონვენციის მე-6 მუხლი) განუყოფელ ნაწილად აღიქმება.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთ საქმეზე უმსჯელია გადაწყვეტილების დასაბუთებულობის სტანდარტების შესახებ. სასამართლოს მიხედვით, დასაბუთების მოთხოვნა არ შეიძლება განიმარტოს როგორც თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის აუცილებლობა¹. სხვა საქმეში სასამართლო მიუთითებს, რომ დასაბუთების მოვალეობის მოცულობა დამოკიდებულია გადაწყვეტილების ხასიათზე და განისაზღვრება ცალკეული საქმის გარემოებების მიხედვით². ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ნათელი უნდა იყოს, რომ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი³.

დასაბუთების ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ განაჩენზე, არამედ სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე⁴.

საქართველოს სსსკ-ის 194-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

მომჩივანი კონკრეტულ შემთხვევაში სადაოდ ხდის სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთებულობას და მიიჩნევს, რომ სასამართლომ დეტალურად არ უპასუხა საჩივარში მოყვანილ მის არგუმენტებს.

საკითხზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს საქართველოს სსსკ-ის 207-ე მუხლზე. დანაწესის თანახმად, სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს და შეაფასოს ყველა ის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება/მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე.

მომჩივნის პრეტენზიიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხზე მსჯელობა თავის თავში მოიაზრებს საქმის მტკიცებულებათა შეფასებების აუცილებლობას და იმის დადგენას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი, არსებითია ესე თუ ის გარემოება საქმესთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი პროცესი ამ კუთხით

¹ Van De Hurk v. The Netherlands, no.16034/90, ECHR;

² Ruiz Torija v. Spain, no. 18390/91, ECHR;

³ Boldea c. Roumanie, no. 19997/02, ECHR;

⁴ Bricmont v. Belgium. no. [10857/84](#), ECHR;

შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძველზე ხორციელდება, რის გამოც, საკითხზე მსჯელობა დაუშვებელია განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში. კერძოდ, სასამართლო დასკვნის კანონიერება, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის დანაწესის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ შემოწმდება.

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს განჩინების განმარტების სავალდებულობას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით პრეტენზია დაუსაბუთებელია. კერძოდ, განჩინების განმარტების საპროცესო შესაძლებლობას, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რის გამოც, არ იკვეთება მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევა.

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

3.2. 2017 წლის 03 ოქტომბრის განჩინებაში სასამართლო მიუთითებს: „-- სააპელაციო სასამართლო ყურადღებას აქცევს ჩადენილი დანაშაულის (დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით) ხასიათს და მასში გამოვლენილ მართლწინააღმდეგობას. დანაშაულის ჩადენა განხორციელდა წინასწარი დათვალიერების, მიზნის დასახვის გზით. ვინაიდან, ბრალდებულის მიერ დაძებნილი იქნა ისეთი ადგილი სადაც, კედელი ამოყვანილი იყო ე.წ. გიფსოკარდონით და რომელიც, განთავსებულია ქუჩაში მოსიარულეთაგან შეუმჩნეველ დამხმარე სათავსოში. ცხადია ეს ქმედება ატარებს ორგანიზებულ ხასიათს...“.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ განჩინებაში სასამართლო არღვევს ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციას და განაჩენის დასაბუთების სტანდარტით აღწერს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას.

პრეტენზიასთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობაში სასამართლო მიუთითებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტზე და აფასებს გარკვეულ გარემოებებს. აღნიშნული კი, არა განაჩენის დადგენის, არამედ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელი მტკიცებულებითი სტანდარტია (საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი). შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე სასამართლოს დასკვნა, ბუნებრივია ვერ დაარღვევს ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციას.

რაც შეეხება ქმედების ზემოაღნიშნულ აღწერის ფორმას, ზოგად კრიტერიუმზე დაყრდნობით შესაძლოა განიმარტოს, რომ დანაშაულის ორგანიზებულობის ფაქტორი, როგორც

მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, მნიშვნელოვანი საკითხებია აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პროცესისთვის⁵.

წარმოდგენილ მოცემულობაში, სასამართლო მსჯელობას აყალიბებს ქმედების ორგანიზებულობაზე (რაც როგორც აღინიშნა, რელევანტური გარემოებაა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზნებისთვის) და მიუთითებს ლაკონურად ფაქტობრივ გარემოებებზე. ქმედების აღწერის გარეშე ან, სხვაგვარი ფორმულირებით წარმოდგენის შემთხვევაში სასამართლოს დასკვნა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით შესაძლოა ყოფილიყო დაუსაბუთებელი, თუმცა, დასაბუთებულობის ხარისხის შემოწმება 3.1. პუნქტში მითითებულ გარემოებათა გამო, კონკრეტულ შემთხვევაში ვერ განხორციელდება. ასევე უნდა დაზუსტდეს, რომ დისციპლინური კუთხით არ ფასდება ის გარემოება, თუ რამდენად იყო ქმედება ორგანიზებული ხასიათის (დასკვნის კანონიერება).

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

3.3. 2017 წლის 03 ოქტომბრის განჩინებაში სასამართლო მიუთითებს: „... ჯერ ერთი ბრალდებული უკვე სრულწლოვანია, თანაც მისი ცხოვრების წესი მიუთითებს მის სრულ დამოუკიდებლობაზე ოჯახის წევრებთან მიმართებაში. საქმის გარემოებების გათვალისწინებით ძნელი სათქმელია, რომ ის ვინმეზე დამოკიდებულია და ვინმეს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მის პიროვნულ აღზრდაზე. კონკრეტული ბრალდებულის მხრიდან მომდინარე საფრთხეების შეფასება აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს მისი წარსულის შეფასებას, იმ სოციალური გარემოს შეფასებას სადაც ის ცხოვრობს, მის უნარებს, მიზნებს ცხოვრებაში და ა.შ. აღნიშნული კრიტერიუმები ბრალდებულთან არაკეთილსაიმედოა. ბრალდებული ისეთ ასაკშია, რომელშიც ადამიანი უნდა ეუფლებოდეს პროფესიას, რისი მეშვეობითაც ის უზრუნველყოფს მომავალში საკუთარ თავს და ოჯახს მატერიალური შესაძლებლობებით, თუმცა მის ცხოვრებაში ამის მსგავსი არაფერი ხდება და არ ხდებოდა წარსულშიც. სააპელაციო სასამართლოსათვის ცხადია, რომ ბრალდებულის ოჯახური გარემო ვერ უზრუნველყოფს მის ნორმალურ განვითარებას. მას არ გააჩნია სრულფასოვანი ოჯახური გარემო, ვინაიდან დედა 6 წელია საზღვარგარეთ იმყოფება, მამა კი როგორც ჩანს სრულფასოვნად ვერ ახერხებს მის სწორ გზაზე დაყენებას. ცხადია, რომ ბრალდებული ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ადამიანად და თავად წყვეტს რა გზებით და შესაძლებლობებით მოიპოვოს მატერიალური სახსრები არსებობისთვის. მას შეუძლია დღეების განმავლობაში არ მივიდეს სახლში, არ აცნობოს მისი ოჯახის წევრებს სად იმყოფება და ა.შ. “.

მომჩივანი კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით მიიჩნევს, რომ განჩინებაში მოსამართლის დასკვნები შეურაცხმყოფელია მასში მოხსენიებული პირებისთვის. საჩივრის ავტორი ითხოვს

⁵ Mierzejewski v. Poland ECHR, no, 15612/13

შეფასდეს განჩინების ჩანაწერები: ბრალდებულის დახასიათებაზე, მის ოჯახზე, საქმიანობისა და სწავლების ფაქტებზე, ბრალდებულის დამოუკიდებლად ცხოვრების წესზე. მომჩივანი მიიჩნევს, რომ მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება მსგავს საკითხებზე ემსჯელა განჩინებაში.

წარმოდგენილ პრეტენზიებზე არსებით მსჯელობამდე, მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე ყურადღება გამახვილდეს ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ საკითხებზე:

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაკავშირებულია ფაქტობრივ და ფორმალურ (საპროცესო) საფუძვლებთან (საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლი). ფორმალური (საპროცესო) საფუძვლებთან უნდა აღინიშნოს, რომ იგი მიემართება და მიზნად ისახავს საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საფრთხეების (ბრალდებულის მიმალვის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების, ახალი დანაშაულის ჩადენის) პრევენციას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამგვარი საფრთხეების შესაფასებლად განმარტავს, რომ თითოეული მიზნის in abstracto გამოყენება აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისათვის დაუშვებელია და იგი უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტობრივ საფუძველს. ბრალდების სიმძიმე და მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან შეთქმულების ჰიპოთეტური, “ზოგადი და აბსტრაქტული” საშიშროება არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს (Boicenco v Republic of Moldova). ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, საფუძვლები, რომლებიც ამართლებს პირის პატიმრობაში ყოფნას (დანაშაულის ჩადენის დასაბუთებულ ვარაუდთან ერთად) არის პირის მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის (მოწმეებზე ზემოქმედება, მტკიცებულებების განადგურება/შეცვლა), საზოგადოებრივი არეულობის საფრთხეები ან/და ბრალდებულის დაცვის აუცილებლობა. ეს საფუძვლები რელევანტური და საკმარისი გარემოებებით უნდა იყოს დასაბუთებული (Buzadji v. Republic of Moldova). სხვა საქმეში ევროპული სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მიმალვის საფრთხე უნდა შეფასდეს იმ ფაქტორების ჭრილში, რომლებიც ბრალდებულის პიროვნებას, მის მორალს, ადგილ-საცხოვრებელს, საქმიანობას, ქონებას და ოჯახს უკავშირდება. აგრეთვე ყველა იმ გარემოებას, რომელიც პირს სისხლის სამართლებრივი დევნის ქვეყანასთან აკავშირებს (Becciev v. Republic of Moldova).

საქართველოს სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული:

- ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;
- ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;
- გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

განსახილველ საქმეზე, დავას არ იწვევს ის საკითხი, რომ სასამართლო უფლებამოსილი იყო ემსჯელა და შეეფასებინა ბრალდებულის პიროვნება და მისი ცხოვრების წესი, მათ შორის,

საზღვარგარეთ ბრალდებულის ახლობლების (დედის) ყოფნის გარემოება, ბრალდებულის მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხეების გამორიცხვის მიზნით. თუმცა, არსებული პრეტენზიის ფარგლებში, პარალელურად უნდა შეფასდეს ეთიკურობის საკითხები, თუ რამდენადაა იგი დაცული განჩინებაში წარმოდგენილი სასამართლოს მსჯელობის პროცესში.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის მიერ დამტკიცებული „საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების“ მე-20 მუხლის შესაბამისად, მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.6. პუნქტის თანახმად, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით.

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ განმარტების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციის საფუძველზე, შექმნილი ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ე.წ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ კომენტარებზე, სადაც აღნიშნულია, რომ „მოსამართლეს არ აქვს უფლება, უსაფუძვლო და შეურაცხმყოფელი შენიშვნები გამოთქვას სასამართლო საქმის მხარეთა, ადვოკატების, სასამართლო პროცესის მონაწილეთა, ასევე მოწმეთა მისამართით. ყოფილა შემთხვევები, როცა დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობილი პირისათვის განაჩენის გამოტანისას მოსამართლეს მსჯავრდებული შეურაცხმყოფელი შენიშვნებით „შეუმკია“. მოსამართლეს შეუძლია, ადგილობრივი ჩვეულებების მიხედვით, საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოხატოს ჩადენილი მძიმე დანაშაულის გამო, მაგრამ მისი შენიშვნები ყოველთვის ფრთხილი, თავშეკავებული და თავაზიანი უნდა იყოს. დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობილი პირისათვის განაჩენის გამოტანა არის დიდი პასუხისმგებლობა, საზოგადოების სახელით სამართლიანი და კანონიერი მოქმედების აღსრულება და არა მოსამართლისათვის თავისი ემოციების გამოხატვის საბაზი. მსგავსი მოქმედება მოსამართლის მაღალი თანამდებობის უმთავრეს საფუძვლებსა და ავტორიტეტს არყევს“ („მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, §188, გვ. 176, თბილისი 2005;)

აღსანიშნავია, რომ განსახილველ საქმესთან მიმართებაში 2017 წლის 03 ოქტომბრის განჩინებაში მოყვანილი სასამართლოს მსჯელობა ემსახურება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძვლების დასაბუთებას და ამ კუთხით ბრალდებულის პიროვნების და იმ გარემო ფაქტორების შეფასებას, რასაც ზეგავლენა უნდა მოეხდინა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების

მიზნების აღსრულებაზე. შესაბამისად, მოსამართლის ქმედება, ამ მიმართებით არ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №173/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**